ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

დ. ჩოხატაური *11 სექტემბერი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, გიორგი რამიშვილი, რამაზ უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, თემურ ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, კობა კალანდაძე, ზვიად მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, გოდერძი გოგიშვილი, მამია ბარამიძე, რომან ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ერეკლე უღრელიძე, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, დავით შარაშიძე, გოჩა თოდრია, მაია გიორგაძე, მანანა მინდაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ირაკლი ახობაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: აკაკი ყაჭეიშვილმა, დავით ტყეშელიაძემ, ოთარ სოროზანიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის დამთავრების შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით, ფრაქციის თავმჯდომარემ- ირაკლი ახობაძემ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე- XII თავის 92-ე მუხლის შესაბამისად გამგებელი უფლებამოსილია თვითმმართველი ერთეულის სახელით დადოს ხელშეკრულებები, ისეთი გარიგებები, რომელთა ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს, მხოლოდ საკრებულოს თანხმობით. თანხმობის მიღებაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ისა.

მოგეხსენებათ, რომ დაიდო ხელშეკრულება შ.პ.ს ვექტორთან, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 2 499 000 ლარს, ე.ი. ის აღემატება ბიუჯეტის 5%-ს და არ იყო შეთანხმებული საკრებულოსთან. ამდენად, დაირღვა რეგლამენტის აღნიშნული მუხლი. მე-15 თავის საკრებულოს მიერ 112-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელების ერთ- ერთი ფორმა არის დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის მოთხოვნაც შეუძლია საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს და გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-სა. დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკრებულო ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფს (სატენდერო კომისიას), რომელიც კანონის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე შეარჩევს დამოუკიდებელ აუდიტორს და ხელშეკრულებას დებს საკრებულოს თავმჯდომარე.

ჩვენს მიერ იქნა მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტი, მაგრამ განხორციელდა გამარტივებული შესყიდვით, ანუ ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულება გააფორმა გამგებელმა. ე. ი. რეგლამენტის ეს მუხლიც დაირღვა. მუხლი 137-ის თანახმად, საკრებულოს რეგლამენტის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

ბატონო საკრებულოს თავმჯდომარევ და საკრებულოს წევრებო, გთხოვთ რეაგირებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ გამგებელი ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ყველა ხელშეკრულებას და შეთანხმებას.

ირაკლი ახობაძე: კონტროლის ფუნქციაში შედის აუდიტის მოწვევა, რომ გავიგოთ ფინანსური მდგომარეობა მუნიციპალიტეტის, გამგეობის, როდესაც ვიწვევთ აუდიტს. კონკრეტულ შემთხვევაში ელექტრონული ტენდერი არ ჩატარებულა, მაგრამ შესყიდვა განხორციელდა პირდაპირი წესით, ანუ ჩვენ უნდა შევამოწმოთ გამგეობამ დადებითად იმუშავა თუ უარყოფითად ფინანსური თვალსაზრისით, გამგებელმა მოიწვია ვიღაც და გაუფორმა ხელშეკრულება. არანაირი ტენდერით გამარჯვებული არ გამოვლენილა. რაც შეეხება შესყიდვების კანონს, თუ შესყიდვების კანონის თანახმად არის გამოსავალი, რომ 5 000 ლარამდე განხორციელდეს შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკებით, ეს იმას არ ნიშნავას, რომ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს ვინმე გვიკრძალავს. ჩვენ შეგვიძლია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ჩავატაროთ, რაც ნაკლებ კითხვებს გააჩენს და არ იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

აქვე დავსძენ, რომ ერთფურცლიანი დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნიდან სრულყოფილი ანალიზის გაკეთება ვფიქრობ შეუძლებელია მაშინ, როცა წინა წლების (2013 წელი) სახელმწიფო აუდიტის დასკვნა წიგნადაა შეკრული, თითოეული მუხლია განხილული და თითოეულ მუხლზეა მოსაზრება დაფიქსირებული.

მარინე ბერაძე დაეთანხმა ირაკლი ახობაძეს იმაში, რომ მოქმედ ,,თვითმმართველობის კოდექსსა“ და რეგლამენტს შორის, როგორც უამრავ კანონს შორისაა ჩარჩენილი რაღაც წინააღმდეგობრივია. ამ წინააღმდეგობრივის დროს არსებობს სამართლებრივი გამოსავალი, ძალა აქვს ზემდგომს. გეთანხმები, რომ რეგლამენტში წერია ისე, მაგრამ ეს ცვლილება არ არის ახალი, ძველშიც ასეა. იყო სარეკომენდაციო ხასიათის რეგლამენტი და ამიტომაც არ მოგვწონს. შევა ის ცვლილებები, რაც ხელს გვიშლის სწორად მუშაობაში. ეს არის მუშა პროცესი, რომლის გარეშეც დამეთანხმებით, რომ მუშაობა შეუძლებელია. არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ აუდიტის მოწვევაზე, მაგრამ ის, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს უნდა დაედო ხელშეკრულება- წინააღმდეგობრივია რეგლამენტში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ზაალ მამალაძე*